შპს „მულტი ტრეიდი“

ფინანსური ანგარიშგება
2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშო წლისთვის

25 მაისი 2022
თბილისი

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 4

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება 5

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება 6

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები 7

1. კომპანია და მისი საქმიანობა 7
2. შედგენის საფუძველი 7
3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა 11
4 ძირითადი საშუალებები 17
5 აქტივების გამოყენების უფლება 17
6 არამატერიალური აქტივები 18
7 მარაგები 18
8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 18
9 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე 19
10 სესხები 19
11 იჯარა 19
12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 21
13 შემოსავალი რეალიზაციიდან 21
14 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება 21
15 დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი 21
16 ადმინისტრაციული ხარჯები 21
17 ფინანსური ხარჯი (წმინდა) 22
18 სხვა მოგება/(ზარალი) 22
19 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები 22
20 ფინანსური ინსტრუმენტები 22
21 ფინანსური რისკის მართვა 23
22 კაპიტალის რისკის მართვა 25
23 გაუთვალისწინებელი გარემოებები 25
24 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია 26
25 დაკავშირებული მხარეები 26
26 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები 27

შპს მულტი ტრეიდი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	ა/გ შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	**4**	13,757	17,196
აქტივების გამოყენების უფლება	**5**	24,193	36,290
არამატერიალური აქტივები	**6**	8,225	10,282
სულ გრძელვადიანი აქტივები		**46,175**	**63,768**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	**0**	5,367,415	5,733,688
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**8**	1,387,859	1,772,543
სხვა მიმდინარე აქტივები		-	85,878
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	**9**	6,255	3,757
სულ მოკლევადიანი აქტივები		**6,761,529**	**7,595,866**
სულ აქტივები		**6,807,704**	**7,659,634**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(6,296,082)	(5,456,858)
სულ საკუთარი კაპიტალი		**(6,296,082)**	**(5,456,858)**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	**10**	-	1,430,000
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის პირობები	**11**	14,922	28,275
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**14,922**	**1,458,275**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიმდინარე სესხები	**10**	7,491,195	5,947,574
მიმდინარე ფინანსური იჯარის პირობები	**11**	13,353	11,948
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**12**	5,584,316	5,698,695
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**13,088,864**	**11,658,217**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**6,807,704**	**7,659,634**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისს.

ნინა ბერიანიძე, დირექტორი

_____

თამარ ტორიაშვილი, ფინანსური მენეჯერი

_____

შპს მულტი ტრეიდი
2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
(თანხები მოცემულია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	ა/გ შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	13,757	17,196
აქტივების გამოყენების უფლება	5	24,193	36,290
არამატერიალური აქტივები	6	8,225	10,282
სულ გრძელვადიანი აქტივები		**46,175**	**63,768**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	7	5,367,415	5,733,688
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	1,387,859	1,772,543
სხვა მიმდინარე აქტივები		-	85,878
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	9	6,255	3,757
სულ მოკლევადიანი აქტივები		**6,761,529**	**7,595,866**
სულ აქტივები		**6,807,704**	**7,659,634**
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
აკუმულირებული მოგება/(ზარალი)		(6,296,082)	(5,456,858)
სულ საკუთარი კაპიტალი		**(6,296,082)**	**(5,456,858)**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	-	1,430,000
გრძელვადიანი ფინანსური იჯარის პირობები	11	14,922	28,275
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**14,922**	**1,458,275**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიმდინარე სესხები	10	7,491,195	5,947,574
მიმდინარე ფინანსური იჯარის პირობები	11	13,353	11,948
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	5,584,316	5,698,695
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**13,088,864**	**11,658,217**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**6,807,704**	**7,659,634**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისს.

ნინა ბერიანიძე, დირექტორი

თამარ ტორიაშვილი, ფინანსური მენეჯერი

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	ა/გ შენიშვნა	31.12.2021 დასრულებული წლისათვის	31.12.2020 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	21,305,165	24,782,477
გაყიდვების თვითღირებულება	14	(20,293,518)	(23,611,145)
საერთო მოგება		**1,011,647**	**1,171,332**
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	15	(513,509)	(593,322)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(361,315)	(316,699)
ფინანსური ხარჯები	17	(1,202,684)	(1,007,550)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან (ნეტო)		250,190	(1,594,079)
სხვა მოგება/(ზარალი)	18	(23,553)	(395,779)
მიმდინარე წლის ზარალი		**(839,224)**	**(2,736,097)**
სულ მიმდინარე წლის სრული ზარალი		**(839,224)**	**(2,736,097)**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისს.

ნინა ბერიანიძე, დირექტორი

_____

თამარ ტორიაშვილი, ფინანსური მენეჯერი

_____

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	ა/გ შენიშვნა	31.12.2021 დასრულებული წლისათვის	31.12.2020 დასრულებული წლისათვის
შემოსავალი რეალიზაციიდან	13	21,305,165	24,782,477
გაყიდვების თვითღირებულება	14	(20,293,518)	(23,611,145)
საერთო მოგება		**1,011,647**	**1,171,332**
დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯები	15	(513,509)	(593,322)
ადმინისტრაციული ხარჯები	16	(361,315)	(316,699)
ფინანსური ხარჯები	17	(1,202,684)	(1,007,550)
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან (ნეტო)		250,190	(1,594,079)
სხვა მოგება/(ზარალი)	18	(23,553)	(395,779)
მიმდინარე წლის ზარალი		**(839,224)**	**(2,736,097)**
სულ მიმდინარე წლის სრული ზარალი		**(839,224)**	**(2,736,097)**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისს.

ნინა ბერიანიძე, დირექტორი

თამარ ტორიაშვილი, ფინანსური მენეჯერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		(839,224)	(2,736,097)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		17,593	18,967
საქონლის ჩამოწერა		-	12,063
საეჭვო ვალების ჩამოწერა		37,356	416,800
საპროცენტო ხარჯი		1,202,684	1,007,550
მოგების გადასახადის ხარჯი		7,540	2,334
ზარალი საკურსო სხვაობებიდან		(250,190)	1,594,079
საშემოსავლო გადასახადის შეღავათი		(2,662)	
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე		**173,098**	**315,696**
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		470,562	163,034
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში		366,273	4,750,072
ცვლილება სხვა აქტივებში		(85,878)	(282,852)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		213,923	(4,473,967)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**1,137,977**	**471,983**
გადახდილი პროცენტი		(1,160,535)	(1,007,238)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(2,334)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**(22,558)**	**(537,589)**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**-**	**-**
ფულადი სახსრების ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან			
სესხებიდან მიღებული ფული		16,787,158	25,309,630
სესხებზე გადახდილი ფული		(16,720,664)	(24,703,221)
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი ფული		(11,948.55)	(10,693)
გადახდილი დივიდენდები		-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		**54,546**	**595,716**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)		**2,498**	**1,384**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**3,757**	**2,373**
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(29,490)	(56,743)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		**6,255**	**3,757**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისს.

ნინა ბერიანიძე, დირექტორი

_____

თამარ ტორიაშვილი, ფინანსური მენეჯერი

_____

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის	2020 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრების ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		(839,224)	(2,736,097)
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		17,593	18,967
საქონლის ჩამოწერა		-	12,063
საეჭვო ვალების ჩამოწერა		37,356	416,800
საპროცენტო ხარჯი		1,202,684	1,007,550
მოგების გადასახადის ხარჯი		7,540	2,334
ზარალი საკურსო სხვაობებიდან		(250,190)	1,594,079
საშემოსავლო გადასახადის შეღავათი		(2,662)	
საოპერაციო შედეგები საოპერაციო კაპიტალში ცვლილებამდე		**173,098**	**315,696**
ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		470,562	163,034
ცვლილება სასაქონლო მატერიალურ მარაგებში		366,273	4,750,072
ცვლილება სხვა აქტივებში		(85,878)	(282,852)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		213,923	(4,473,967)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**1,137,977**	**471,983**
გადახდილი პროცენტი		(1,160,535)	(1,007,238)
გადახდილი მოგების გადასახადი		-	(2,334)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		**(22,558)**	**(537,589)**
ფულადი სახსრების ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		-	-
ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან მიღებული ფული		-	-
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**-**	**-**
ფულადი სახსრების ნაკადი ფინანსური საქმიანობიდან			
სესხებიდან მიღებული ფული		16,787,158	25,309,630
სესხებზე გადახდილი ფული		(16,720,664)	(24,703,221)
საიჯარო ვალდებულებებზე გადახდილი ფული		(11,948.55)	(10,693)
გადახდილი დივიდენდები		-	-
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		**54,546**	**595,716**
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო ზრდა (შემცირება)		**2,498**	**1,384**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		**3,757**	**2,373**
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(29,490)	(56,743)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს		**6,255**	**3,757**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისს.

ნინა ბერიანიძე, დირექტორი

თამარ ტორიაშვილი, ფინანსური მენეჯერი

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	**(2,720,761)**	**(2,720,761)**
მიმდინარე პერიოდის ზარალი	(2,736,097)	**(2,736,097)**
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	**(5,456,858)**	**(5,456,858)**
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	**(5,456,858)**	**(5,456,858)**
მიმდინარე პერიოდის ზარალი	(839,224)	**(839,224)**
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	**(6,296,082)**	**(6,296,082)**

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისს.

ნინა ბერიანიძე, დირექტორი

_____

თამარ ტორიაშვილი, ფინანსური მენეჯერი

_____

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2020 წლის 1 იანვარს	(2,720,761)	(2,720,761)
მიმდინარე პერიოდის ზარალი	(2,736,097)	(2,736,097)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს	(5,456,858)	(5,456,858)
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარს	(5,456,858)	(5,456,858)
მიმდინარე პერიოდის ზარალი	(839,224)	(839,224)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს	(6,296,082)	(6,296,082)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულ და ხელმოწერილ იქნა 2022 წლის 25 მაისს.

ნინა ბერიანიძე, დირექტორი

თამარ ტორიაშვილი, ფინანსური მენეჯერი

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „მულტი ტრეიდი“ (კომპანია) შეიქმნა, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოში 2009 წელს (ს/ნ: 200273765). კომპანიას შემოაქვს ხორცის ნედლეულის პროდუქტები როგორც უცხოურ ბაზრებზე რეალიზაციისთვის, აგრეთვე, შიდა კომპანიებისთვის.

კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია სს „ნიკორა“ (ს/ნ: 200050675). შპს „მულტი ტრეიდი“-ს რეგისტრირებული მისამართი არის: მ. ქავთარაძის ქუჩა 11, თბილისი, საქართველო.

კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2021 წელს შეადგენდა 8 თანამშრომელს (2020: 8).

2. შედგენის საფუძველი

2.1 განცხადება შესაბამისობის თაობაზე

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად უწყვეტი ფუნქციონირების პრინციპისა და ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი საღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი.

2.2 მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად.

2.3 საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი ყველაზე უკეთ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და კომპანიის სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში. ყველა ფინანსური მონაცემი წარმოდგენილი ლარებში დამრგვალებულია უახლოეს ლარამდე.

2.4 შეფასებებისა და მოსაზრებების გამოყენება

წინამდებარე ანგარიშგების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებისათვის ხელმძღვანელობამ გააკეთა მთელი რიგი შეფასებები, რომლებიც გავლენას ახდენენ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების თანხებზე ფინანსური ანგარიშგების თარიღისათვის, აგრეთვე საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის შემოსავლებზე და ხარჯებზე.

კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული დაშვებები და საღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე, განხილულია მე-19 შენიშვნაში.

2.5 ახალი და შესწორებული სტანდარტების გამოყენება

2021 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

საორიენტაციო საბაზისო საპროცენტო განაკვეთის (IBOR) რეფორმა – ფაზა 2 შესწორებები ფასს 9-ში, ბასს 39-ში , ფასს 7-ში, ფასს 4-ში და ფასს 16-ში (გამოცემულია 2020 წლის 27 აგვისტოს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფაზა 2-ის შესწორებები განსაზღვრავს საკითხებს, რომლებიც წარმოიშობა რეფორმების განხორციელების შედეგად, მათ შორის ერთი კრიტერიუმის ალტერნატიული კრიტერიუმით შეცვლის შედეგად. შესწორებები მოიცავს შემდეგ სფეროებს:

- ცვლილებების აღრიცხვა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლებში, IBOR რეფორმის შედეგად: იმ ინსტრუმენტებისთვის, რომლებზეც გამოიყენება ამორტიზირებული ღირებულების შეფასება, შესწორებები მოითხოვს საწარმოებმა, პრაქტიკული მიზანშეწონილობის სახით, აღრიცხონ ცვლილება სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების განსაზღვრის საფუძვლებში, IBOR რეფორმების შედეგად, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განახლებით, ფასს 9-ის B5.4.5 პარაგრაფებში სახელმძღვანელოს გამოყენებით. შედეგად არ ხდება უშუალო მოგების ან ზარალის აღიარება. პრაქტიკული მიზანშეწონილობა გამოიყენება მხოლოდ იმ ცვლილებაზე და მხოლოდ იმ ფარგლებში, რომელიც საჭიროა, როგორც IBOR რეფორმის პირდაპირი შედეგი და ახალი საფუძველი ეკონომიკურად წინა ბაზის ექვივალენტურია. სადაზღვევო კომპანიებს, რომლებიც იყენებენ დროებით შეღავათს ფასს 9-დან, ასევე მოეთხოვებათ გამოიყენონ

პრაქტიკული მიზანშეწონილობა. ფასს 16 ასევე შესწორდა და მოიჯარეებს მოეთხოვებათ გამოიყენონ პრაქტიკული მიზანშეწონილობა საიჯარო მოდიფიკაციების აღრიცხვისას, რომელიც ცვლის მომავალი საიჯარო გადახდების განსაზღვრის საფუძველს, IBOR რეფორმის შედეგად.

- საბოლოო თარიღი ფაზა 1 შეღავათისთვის არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის ჰეჯირების ურთიერთობებში: ფაზა 2-ის შესწორებები მოითხოვს საწარმომ მომავალში აღარ გამოიყენოს ფაზა 1-ის შეღავათები არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტებისთვის იმ თარიღისთვის, რომელიც უფრო ადრე დადგება: როდესაც ცვლილებები ხორციელდება შეღავათები არა ხელშეკრულებით განსაზღვრული რისკის კომპონენტში ან როდესაც ჰეჯირების ურთიერთობა წყდება. რისკის კომპონენტებისთვის ფაზა 1-ში საბოლოო თარიღი არ არის გათვალისწინებული.

- დამატებითი დროებითი გამონაკლისები კონკრეტული ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნებიდან: ფაზა 2-ის შესწორებები ითვალისწინებს დამატებით დროებით შეღავათებს კონკრეტული ბასს 39 და ფასს 9 ჰეჯირების აღრიცხვის მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებით ჰეჯირების ურთიერთობებში, რომლებზეც პირდაპირი გავლენა მოახდინა IBOR რეფორმამ.

დამატებითი ფასს 7 ინფორმაციები IBOR რეფორმის შესახებ: აღნიშნული შესწორება მოითხოვს ინფორმაციას შემდეგის შესახებ: (i) როგორ მართავს საწარმო გადასვლას ალტერნატიულ საორიენტაციო განაკვეთებზე, მის პროგრესს და რისკებს, რომელიც წარმოიშობა გადასვლის შედეგად; (ii) რაოდენობრივი მონაცემები წარმოებულების და არა-წარმოებულების შესახებ, რომლებიც ჯერ კიდევ არ გადასულან, დაყოფილი მნიშვნელოვანი საპროცენტო განაკვეთის ორიენტირით; და (iii) ცვლილებების აღწერა რისკის მართვის სტრატეგიაში, IBOR რეფორმის შედეგად.

შესწორების გამოყენებამ გავლენა არ მოახდინა გამოყენების უფლების მქონე აქტივზე და არსებითი გავლენა არ მოახდინა საიჯარო ვალდებულებებზე და შემოსავლის ანგარიშგებაზე.

კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები შესწორებები ფასს 16. თავდაპირველი შესწორება ითვალისწინებდა შეღავათის მიცემას მოიჯარეებისთვის ოფციონური გათავისუფლების ფორმით იმის შეფასებისგან არის თუ არა კოვიდ-19 დაკავშირებული საიჯარო კონცესიები საიჯარო მოდიფიკაციები. მოიჯარეებს შეეძლოთ აესახათ საიჯარო კონცესიები იმავე წესით, ისე თითქოს ისინი არ არის საიჯარო მოდიფიკაციები. პრაქტიკული წესი გამოიყენებოდა მხოლოდ იმ საიჯარო კონცესიებზე, რომელიც წარმოიქმნა პირდაპირ კოვიდ-19 პანდემიის შედეგად და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილდება ყველა შემდეგი პირობა:

- ცვლილება საიჯარო გადახდებში განაპირობებს იჯარის ანაზღაურების გადახედვას, რომელიც არსებითად იგივეა ან ნაკლებია უშუალოდ ცვლილებამდე არსებულ ანაზღაურებაზე;

- საიჯარო გადახდების ნებისმიერი შემცირება გავლენას ახდენდა 2021 წლის 30 ივნისს ან მანამდე გადასახდელ თანხებზე, თუ არ იყო არსებითი ცვლილებები იჯარის სხვა პირობებსა და დებულებებში.

2021 წლის მარტში საბჭომ გამოუშვა ცვლილება ფასს 16, რომელის მიხედვითაც ზემოთ განსაზღვრული თარიღი გაგრძელდა და შეიცვალა 2022 წლის 30 ივნისამდე. ჯგუფმა/კომპანიამ მიიღო ეს ცვლილება გამოშვების თარიღამდე ნაადრევად თუმცა ამ ცვლილებას რაიმე სახის არსებითი ცვლილება არ გამოუწვევია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არც წინასწარ არის დანერგილი:

კომპანიამ ვადამდე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2021 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფასს 17 "სადაზღვევო ხელშეკრულებები" (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

შესწორებები ფასს 17-ში და შესწორება ფასს 4-ში (გამოცემული 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ) შესწორებები მოიცავს რიგ განმარტებებს, რომელიც განსაზღვრულია ფასს 17-ის განხორციელების გაადვილებისთვის, სტანდარტის და გადასვლის მოთხოვნების გამარტივებისთვის. შესწორებები უკავშირდება ფასს 17-ის რვა სფეროს და არ არის განკუთვნილი სტანდარტის ფუნდამენტალური პრინციპების ცვლილებისთვის. ფასს 17-ში განხორციელდა შემდეგი შესწორებები:

- ძალაში შესვლის თარიღი: ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (მოიცავს შესწორებებს) გადავადდა ორი წლით წლიურ ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ს გამოყენებისგან დროებით გათავისუფლების ფიქსირებული ამოწურვის თარიღი ასევე გადავადდა წლიური ანგარიშგების პერიოდებში, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ.

- დაზღვევის შეძენის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი აღდგენა: საწარმოს მოეთხოვება შეძენის ხარჯების ნაწილის განაწილება დაკავშირებულ მოსალოდნელ კონტრაქტის განახლებებზე და აღნიშნული ხარჯების აღიარება აქტივად, სანამ საწარმო არ აღიარებს კონტრაქტის განახლებებს. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის აღდგენის უნარი თითოეული ანგარიშგების თარიღისთვის და წარმოადგინონ კონკრეტული ინფორმაცია აქტივის შესახებ ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში.

- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა დაკავშირებული საინვესტიციო მომსახურებებთან: უნდა დადგინდეს დაფარვის ერთეულები, ბენეფიტების რაოდენობის და როგორც სადაზღვევო დაფარვის, ასევე საინვესტიციო მომსახურებების მოსალოდნელი პერიოდები გათვალისწინებით, კონტრაქტებისთვის, ცვლადი საკომისიოების მიდგომის შესაბამისად და სხვა კონტრაქტებისთვის „ინვესტიცია - შემოსავლის მომსახურებით“ საერთო მოდელის შესაბამისად. საინვესტიციო საქმიანობებთან დაკავშირებული ხარჯები შეტანილი უნდა იყოს, როგორც ფულადი ნაკადები სადაზღვევო კონტრაქტების ფარგლებში, იმ პირობით, რომ საწარმო ასრულებს ასეთ საქმიანობებს ბენეფიტების გაზრდისთვის სადაზღვევო დაფარვიდან პოლისის მფლობელისთვის.

- გადაზღვევის ხელშეკრულებები – ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების დატვირთული ჯგუფის თავდაპირველი აღიარებისას ან დატვირთული ძირითადი ხელშეკრულებების დამატებისას ჯგუფში, საწარმომ უნდა შეასწოროს გადაზღვევის ხელშეკრულებების დაკავშირებული ჯგუფის მარჟა და აღიაროს მოგება გადაზღვევის ხელშეკრულებებზე. გადაზღვევის ხელშეკრულებიდან დაფარული ზარალის თანხა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომლის დაფარვას საწარმო ელოდება გადაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ გადაზღვევსი ხელშეკრულება აღიარებულია იქამდე ან იმ დროს, როდესაც ზარალი აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე.

- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს გამონაკლისებს, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტული საკრედიტო ბარათების (ან მსგავსი) ხელშეკრულებებთან და კონკრეტულ სესხის ხელშეკრულებებთან; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივების და ვალდებულებების პრეზენტაციასთან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში პორტფელებში ჯგუფების ნაცვლად; რისკის შერბილების ოფციონის გამოყენებადობასთან, ფინანსური რისკების შერბილებისას გადაზღვევის ხელშეკრულებების და არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებით სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში; სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევანთან წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებებში შეფასებების ცვლილებისთვის ფასს 17-ის გამოყენებისას; საშემოსავლო გადასახადის გადახდების და შემოსავლების შეტანასთან, რომელიც სპეციალურად ერიცხება პოლისის მფლობელს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესაბამისად ფულადი ნაკადების შესრულებაში; და შერჩეულ გადასვლის შეღავათებთან და სხვა მცირე შესწორებებთან.

აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის - შესწორებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება იმ დღეს ან იმ თარიღის შემდეგ, რომელიც უნდა განსაზღვროს ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) მიერ). აღნიშნული შესწორებები ასახავს შეუსაბამობას ფასს 10-ის და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის, ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვის ან კონტრიბუციის დროს. ამ შესწორებების მთავარი შედეგია ის, რომ სრული მოგება ან ზარალი აღიარებულია მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს ბიზნესს. ნაწილობრივ მოგება და ზარალი აღიარებულია, როდესაც გარიგება მოიცავს იმ აქტივებს, რომლებიც არ მოიცავს ბიზნესს იმ შემთხვევაშიც, თუ აღნიშნულ აქტივებს ფლობს შვილობილი კომპანია.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან არამიმდინარედ - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 23 იანვარს და ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). აღნიშნული ვიწრო ფარგლების შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს

ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. სახელმძღვანელო აღარ მოითხოვს ასეთი უფლება იყოს უპირობო. ხელმძღვანელობის მოლოდინები გამოიყენებენ თუ არა შემდგომ ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო ასრულებს შესაბამის პირობებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის. ვალდებულება კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ პირობა დაირღვევა ანგარიშგების თარისთვის ან მანამდე იმ შემთხვევაშიც, თუ ამ პირობის უარყოფა მიღებულია კრედიტორისგან ანგარიშგების პერიოდის დასრულების შემდეგ. განსხვავებით სესხი კლასიფიცირდება არამიმდინარედ, თუ დაირღვევა სესხის ხელშეკრულება მხოლოდ ანგარიშგების თარიღის შემდეგ. გარდა ამისა შესწორებები მოიცავს კლასიფიკაციის მოთხოვნებს ვალთან დაკავშირებით, რომელიც შესაძლოა კომპანიამ დაფაროს მისი გარდაქმნით კაპიტალში. 'დაფარვა" განისაზღვრება ვალდებულების დაფარვად ნაღდი ფულით, სხვა რესურსებით, რომელიც მოიცავს ეკონომიკურ სარგებელს ან საწარმოს საკუთარი კაპიტალის ინვესტიციებით. არსებობს გამონაკლისი კონვერტირებადი ინსტრუმენტებისთვის, რომელიც შეიძლება კონვერტირდეს კაპიტალში, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, როდესაც კონვერსისი ოფციონი კლასიფიცირდება როგორც კაპიტალის ინსტრუმენტი, შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტის სახით.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, ძალაში შესვლის თარიღის გადავადება - შესწორებები ბასს 1-ში (გამოცემულია 2020 წლის 15 ივლისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). შესწორებები ბასს 1-ში ვალდებულებების კლასიფიკაციაზე მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, გამოიცა 2020 წლის იანვარში, თავდაპირველი ძალაში შესვლის თარიღით - 2022 წლის 1 იანვარი. თუმცა, კოვიდ-19 პანდემიის გამო, ძალაში შესვლის თარიღი გადავადდა ერთი წლით კომპანიებისთვის მეტი დროის მიცემის მიზნით, შესწორებული სახელმძღვანელოდან გამომდინარე კლასიფიკაციის ცვლილებების განსახორციელებლად.

შემოსავლები განსაზღვრულ გამოყენებამდე, დამამძიმებელი კონტრაქტები - კონტრაქტის შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურაზე - ვიწრო სფეროს შესწორებები ბასს 16-ში, ბასს 37-ში და ფასს 3-ში, და წლიური გაუმჯობესებები ფასს-ებში 2018-2020 - შესწორებები ფასს 1-ში, ფასს 9-ში, ფასს 16-ში და ბასს 41-ში (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაში შედის წლიურ პერიოდებში, რომელიც იწყება 2022 წლის 1 იანვარს ან შემდეგ):

შესწორებები ბასს 16-ში უკრძალავს საწარმოს დაქვითოს ძირითადი საშუალებების ერთეულის ღირებულებიდან ნებისმიერი შემოსავალი, მიღებული წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან, როდესაც საწარმო ამზადებს აქტივს განსაზღვრული გამოყენებისთვის. შემოსავლების ასეთი ერთეულების გაყიდვებიდან, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს აღნიშნული ერთეულების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმებული აქტივის ცვეთას, რადგან ის მზად არ არის დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის. შესწორება ბასს 16-ში ასევე განსაზღვრავს, რომ საწარმო „ამოწმებს სათანადოდ ფუნქციონირებს თუ არა აქტივი", როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ და ფიზიკურ ეფექტურობას. აქტივის ფინანსური მაჩვენებლები არ არის დაკავშირებულ ასეთ შეფასებასთან. შესაბამისად აქტივს შესაძლოა ჰქონდეს ოპერირების უნარი, როგორც განსაზღვრულია ხელმძღვანელობის მიერ და დაექვემდებაროს ცვეთას, სანამ მიაღწევს ხელმძღვანელობისთვის მოსალოდნელ საოპერაციო ეფექტურობის დონეს.

შესწორებები ბასს 37-ში განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ღირებულების" მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯი მოიცავს აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების დამატებით ხარჯებს; და სხვა ხარჯების განაწილებას, რომლებიც პირდაპირ შესრულებას უკავშირდება. შესწორება ასევე განმარტავს, რომ დამამძიმებელი ხელშეკრულების ცალკე დებულების განსაზღვრამდე, საწარმო აღიარებს გაუფასურების ზარალს, რომლებიც განხორციელდა ხელშეკრულების შესრულებისას გამოყენებულ აქტივებზე, და არა აღნიშნული ხელშეკრულებისთვის გამოყოფილ აქტივებზე.

ფასს 3 შესწორდა 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებთან დაკავშირებით, იმის განსაზღვრისთვის, თუ რას წარმოადგენს აქტივი ან ვალდებულება ბიზნესის კომბინაციაში. შესწორებამდე, ფასს 3, მითითებულია 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებში. გარდა ამისა, ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს დაემატა ახალი გამონაკლისი ფასს 3-ში. გამონაკლისის მიუთითებს, რომ ზოგი სახის ვალდებულებასთან და პირობით ვალდებულებასთან დაკავშირებით, საწარმო, რომელიც იყენებს ფასს 3-ს, ვალდებულია მიუთითოს ბასს 37 ან ფაისკ 21, და არა 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლები. ახალი გამონაკლისის გარეშე საწარმო აღიარებდა ზოგ ვალდებულებას ბიზნეს კომბინაციაში, რომელსაც არ აღიარებდა ბასს 37-ის შესაბამისად. აქედან გამომდინარე უშუალოდ შეძენის შემდეგ, საწარმო ვალდებული იქნებოდა შეეწყვიტა ასეთი ვალდებულებების აღიარება და ეღიარებინა მოგება, რომელიც არ ასახავს ეკონომიკურ მოგებას. ასევე განმარტებული იყო, რომ შემძენმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივები, როგორც განსაზღვრულია ბასს 37-ში, შეძენის თარიღისთვის.

შესწორებების ფასს 9-ში განსაზღვრავს რომელი საკომისიოები უნდა იქნას შეტანილი 10% ტესტში ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტისთვის. ხარჯები და მოსაკრებლები შეიძლება გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის ან კრედიტორისთვის. შესწორების შესაბამისად მესამე მხარეებისთვის გადახდილი ხარჯები ან მოსაკრებლები არ იქნება შეტანილი 10%-იან ტესტში.

პირობითი მაგალითი 13, რომელიც ერთვის ფასს 16-ს, შესწორდა გადახდების ილუსტრაციის ამოღების მიზნით კრედიტორისგან, საიჯარო საკუთრების გაუმჯობესებებთან დაკავშირებით. შესწორების მიზეზი არის პოტენციური არევის აღმოფხვრა საიჯარო შეღავათების განმარტების შესახებ.

ფასს 1 ითვალისწინებს გამონაკლისს, თუ შვილობილი კომპანია იღებს ფასს მოგვიანებით, მის მშობელ კომპანიასთან შედარებით. შვილობილ კომპანიას შეუძლია შეაფასოს თავისი აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულები, რომელიც შეტანილი იქნება მშობელი კომპანიის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ შესწორებები არ იქნა განხორციელებული კონსოლიდაციის პროცედურებში და ბიზნესის გაერთიანების ეფექტებისთვის, რომელშიც მშობელმა კომპანიამ შეიძინა შვილობილი კომპანია. ფასს 1 შესწორდა იმისათვის, რომ საწარმოებს, რომლებმაც მიიღეს ფასს 1 გამონაკლისის, მიეცეთ შესაძლებლობა შეაფასონ კუმულაციური საკურსო სხვაობები, მშობელი კომპანიის მიერ აღრიცხული თანხების გამოყენებით, მშობელი კომპანიის ფასს-ზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. შესწორება ფასს 1-ში ავრცელებს ზემოაღნიშნულ გამონაკლისს კუმულაციურ საკურსო სხვაობებზე, ხარჯების შესამცირებლად ახალი მიმღებებისთვის. ეს შესწორება ასევე გამოიყენება მეკავშირე საწარმოებზე დაერთობლივ საწარმოებზე, რომლებმაც მიიღეს აღნიშნული ფასს 1 გამონაკლისი.

ამოღებული იქნა მოთხოვნა საწარმოების მიმართ, რომელიც გულისხმობდა ფულადი ნაკადების გამორიცხვას დაბეგვრისთვის, სამართლიანი ღირებულების შეფასების დროს ბასს 41 შესაბამისად. ამ შესწორების მიზანია მოთხოვნის შესაბამისობა სტანდარტში ფულადი სახსრების დისკონტირებასთან დაკავშირებით დაბეგვრის შემდეგ.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია . ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადაწყვეტილების მიღება“-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენიას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ცვლილება ბასს 12 - მოგების გადასახადები - გადავადებული გადასახადი რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ ოპერაციასთან დაკავშირებულ აქტივთან და ვალდებულებასთან. (ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ნაადრევი გამოყენება ნებადართულია). სტანდარტი განსაზღვრავ გარკვეულ დამატებით შერავათებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

3 ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკა

3.1 ზოგადი პირობები

ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად, რომლებიც მოქმედია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

სააღრიცხვო პოლიტიკის კონცეფციები გამოყენებულ იქნა ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი თითოეული პერიოდისთვის.

ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისთვის გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ.

3.2 უცხოური ვალუტა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებული უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული

ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადაანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტის ნაშთების კორექტირებისათვის გამოყენებლი გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	დოლარი	**ევრო**
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3.2766	4.0233
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

3.3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალკ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მშენებარე ძირითადი საშუალებები, რომლებიც გამიზნულია წარმოებისთვის, გასაქირავებლად ან მიზნებისთვის, რომელიც ჯერ არ არის განსაზღვრული, აღირიცხება თვითღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. ღირებულება მოიცავს პირდაპირ ხარჯებს, მწყობრში მოყვანისა და მონტაჟის ხარჯებს, ასევე პროფესიონალური მომსახურებისა და დაკავშირებულ ხარჯებს რომელიც კაპიტალიზირდება კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად. ფინანსური იჯარით აღებული შენობები წარდგენილია ძირითადი საშუალებების მუხლში.ასეთ აქტივების ცვეთადი პერიოდი განისაზღვრება მათ მოსალოდნელ საციცოცლო ვადასა და იჯარის პერიოდს შორის უმცირესით.

მოგება, ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან აღრიცხულია დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში.ყველასხვახარჯი,მათშორისშეკეთება-განახლება,აღიარდებამოგება- ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. კლიენტის სააღრიცხვო პოლიტიკა ითვალისწინებს ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გადახედვას ყოველი წლის ბოლოს. 2020 წლისთვის ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობები	5
სატრანსპორტო საშუალებები	5

3.4 არამატერიალური აქტივები

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში შემცირებადი ნაშთის მეთოდით მათი სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად, რომელიც საშუალოდ შეადგენს 5 წელს, პროგრამული უზრუნველყოფისათვის, უფლებებისათვის და სხვა.

განუსაზღვრელი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია არ ერიცხება, ნაცვლად ამისა, ყოველწლიურად მოწმდება გაუფასურებაზე მათი ანაზღაურებადი ღირებულების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და ყოველთვის როდესაც არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს.

3.5 მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები, რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სასაქონლო მატერიალური მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიან ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

3.6 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება და ჩამოწერა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალადებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მას შემდეგ, რაც ამოიწურება ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება, ან როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

კლასიფიკაცია და შეფასება

ფინანსური აქტივები:

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები ფასდება: ამორტიზებული ღირებულებით, რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავლში ასახვით (FVOCI) ან რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL:

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

სასესხო ინსტრუმენტები ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL:

- კომპანია ფლობს აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია მიიღოს აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები და შემდგომ გაყიდოს;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგნეს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას.

კაპიტალში წილობრივი ინვესტიციებისთვის, რომლის ფლობის მიზანი არ არის ვაჭრობა, კომპანიას შეუძლია რეალური ღირებულებით ასახვის შემდგომი ცვლილებები ასახოს სხვა სრულ შემოსავალში. არჩევანი კეთდება თითოეული ინვესტიციის საფუძველზე.

ყველა სხვა ფინანსური აქტივი კლასიფიცირდება როგორც რეალური ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ამასთან, თავდაპირველი აღიარებისას, კომპანიამ შეიძლება, ფინანსური აქტივი, შემდგომში შეუცვლელობის პირობით, განსაზღვროს რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL) რომელიც სხვაგვარად აკმაყოფილებს ამორტიზებული ღირებულებით, ან რეალური ღირებულებით როგორც სხვა სრულ შემოსავალში ასახვით აღიარების კრიტერიუმებს, თუ ამით გამორიცხავს ან მნიშვნელოვნად ამცირებს შეუსაბამობას, რომელიც სხვაგავარად წარმოიქმნებოდა.

ბიზნეს მოდელის შეფასება:

კომპანია აფასებს ბიზნესმოდელის, რომელშიც აქტივები ფლობილია პორტფელის დონეზე, მიზანს რადგან ეს საუკეთესოდ ასახავს, იმას თუ როგორ ხდება ბიზნესის მართვა და ინფორმაციის მიწოდება ხელმძღვანელობისთვის.

საკონტრაქტო ფულადი ნაკადების შეფასება, წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირის და სარგებლის გადახდას:

შეფასების მიზნებისთვის, "ძირი" განიმარტება როგორც თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივის რეალური ღირებულება. სარგებელი კი მოიცავს ანაზღაურებას ფულის დროითი ღირებულების, გარკვეული პერიოდის განმავლობაში დაუფარავ ძირ თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკისა და გასხვისებასთან დაკავშირებული სხვა ტიპური დანახარჯების სანაცვლოდ, ასევე მოგების მარჟას.

იმის განსაზღვრისას საკონტრაქტო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირი თანხისა და სარგებლის გადახდებს გულისხმობს თუ არა, კომპანია ითვალისწინებს ფინანსურ ინსტრუმენტთან დაკავშირებულ კონტრაქტის პირობებს. აღნიშნული ასევე მოიცავს იმის განსაზღვრას, ფინანსური აქტივი დაკავშირებულია თუ არა ისეთ საკონტრაქტო პირობასთან, რომლის საფუძველზეც შესაძლებელია მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების პერიოდისა და თანხის ოდენობის ცვლილებას.

რეკლასიფიკაცია:

მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია ცვლის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესმოდელს, მან უნდა მოახდინოს ყველა შესაბამისი ფინანსური აქტივის რეკლასიფიკაცია.

გაუფასურება:

კომპანია ფინანსურ აქტივზე მოსალოდნელ საკრედიტო რისკებთან დაკავშირებულ გაუსაფურების ზარალის რეზერვს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით და გაცემული ვალდებულებითი პირობის გათვალისწინებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კომპანია გაუფასურების ზარალის რეზევრი ყოველთვის უნდა შეაფასოს თანხით, რომელიც არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ტოლია, გარდა იმ შეთხვევისა, როცა საანგარიშგებო თარიღისთვის ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაზრდილი არ არის თავდაპირველი აღიარების შემდეგ, რა დროსაც ზარალის რეზერვი უნდა შეფასდეს ისეთი ოდენობით, რომელიც ტოლია 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება:

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის საკრედიტო ზარალის საშუალო შეწონილი სიდიდე. მათი შეფასება ხდება შემდეგნაიად:

- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც არ არის გაუფასურებული ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც მთლიანი ფულადი სახსრების დეფიციტის დღევანდელი ღირებულება (ე.ი სხვობა ხელშეკრულების შესაბამისად გადასახდელ მთლიან ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის).
- ფინანსური აქტივებისთვის რომელიც გაუფასურებულია ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის: როგორც სხვაობა მთლიან საბალანსო ღირებულებასა და მომავალი მოსალოდნელი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის.
- აუთვისებელი სესხის გაცემის ვალდებულებებისთვის: როგორც სახელშეკრულებო ფულად ნაკადებს, რომლებიც კომპანიისთვის იქნება გადასახდელი, თუ სესხის გაცემის ვალდებულების მთლობელი სესხს აითვისებს და იმ ფულად ნაკადებს შორის სხვაობის დღევანდელი ღირებულება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის, თუ მფლობელი აითვისებს სესხს.

ფინანსური აქტივების საკრედიტო გაუფასურება:

ყოველ საანგარიშგებო თარიღში, კომპანია აფასებს გაუფასურებულია თუ არა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები. ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, თუ იმ მოვლენათაგან, რომელიც გავლენას ახდენს მოსალოდნელ მომავალ ფულად ნაკადებზე, ერთი ან რამდენიმე მაინც მოხდა.

სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს განსაზღვრავს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე. კომპანია იყენებს რეზერვის შექმნის მოდელს და საშაულო საპროცენტო განაკვეთს მიიჩნევს, როგორც ანალოგიური საკრედიტო რისკის მქონე ფინანსური აქტივების მართვის საკეთესო საშუალებას.

ჩამოწერა:

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება პირდაპირ უნდა შეამციროს (ნაწილობრივ ან მთლიანად), თუ არ გააჩნია გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ფინანსური აქტივი ანაზღაურდება. ეს ჩვეულებრივ ის შემთხვევაა, როცა კომპანიამ ამოწურა ყველა იურიდიული ძალისხმევა ფინანსური აქტივის აღსადგენად. თუმცა, ფინანსური აქტივები, რომლებიც ჩამოიწერება კვლავ ექვემდებარება სააღსრულებო წარმოებას რათა შესრულდეს კომპანიის მიერ აღნიშნული თანხების აღდგენასთან დაკავშირებული პროცედურები.

გაუფასურების წარდგენა:

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების ზარალის რეზერვის ღირებულება აკლდება აქტივის მთლიან საბალანსო ღირებულებას.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება:

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ვალდებულებებს დაკავშირებული მხარეების მიმართ. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველი აღაირების შემდგომ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გათვალისწინებით.

პროცენტთან დაკავშირებული ყველა ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯებში.

3.7 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა და ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მათი ნეტო ღირებულებით წარმოდგენა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ თუ არსებობს ამის იურიდიული საფუძველი და არსებობს განზრახვა მისი ნეტო თანხის ბაზაზე გაქვითვის შესახებ ან აქტივის რეალიზების და ვალდებულების გასტუმრების ერთროული განხორციელების შესახებ.

3.8 გაუფასურება

გაუფასურების შეფასების მიზნებისთვის, აქტივების დაჯგუფება ხდება ყველაზე დაბალ დონეზე, რომელთათვისაც არსებობს მეტწილად დამოუკიდებელი ფულადი ნაკადების შემოდინებები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). შედეგად, ზოგიერთი აქტივის ტესტირება გაუფასურებაზე ხდება ინდივიდუალურად, ხოლო ზოგიერთი მათგანის ტესტირება ხდება ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის დონეზე.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების გაუფასურება

აქტივებს, რომლებსაც აქვთ განუსაზღვრელი სასიცოცხლო ვადა, არ ერიცხება ამორტიზაცია და ხდება მათი ყოველწლიური გაუფასურების შეფასება, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულება შეიძლება არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აისახება, იმ თანხით რა თანხითაც, აქტივის საბალანსო ღირებულება აჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება, როგორც უდიდესი აქტივის წმინდა სარეალიზაციო ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული შეფასებულია საბალანსო ღირებულებაზე ნაკლებად, მაშინ აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე. გაუფასურების ზარალის ხარჯად აღიარება ხდება დაუყოვნებლივ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აქტივი გადაფასებული თანხით აისახება, ამ შემთხვევაში გაუფასურების ზარალი უნდა აღირიცხოს როგორც გადაფასების შემცირება.

იმ შემთხვევაში, როცა ხდება გაუფასურების ზარალის კომპენსირება, აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება იზრდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, მაგრამ ისე, რომ გაზრდილი საბალანსო ღირებულება არ უნდა აჭარბებდეს საბალანსო ღირებულებას, რომელიც განსაზღვრული იქნებოდა წინა პერიოდიში აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაუფასურების არ ქონის შემთხვევაში. გაუფასურების შებრუნება დაუყოვნებლივ აღიარდება შემოსავალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივი გადაფასებულია, რა შემთხვევაშიც ნებისმიერი გაუფასურების ზარალის კომპენსირება აღირიცხება როგორც გადაფასების ზრდა.

3.9 კაპიტალი

აკუმულირებული მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგება-ზარალს.

3.10 მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახდის წარდგენას. ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები ეხება კორპორატიული შემოსავლის დაბეგვრის ახალი მოდელის შემოღებას.

განახლებული მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურპირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით.

აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.11 შემოსავლის აღიარება

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან.

იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული კომპანიამ უნდა შეასრულოს ხუთ- საფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება.

შემოსავლების აღიარება ხდება იმ დროს ან დროის განმავლობაში, როდესაც (ან როგორც) კომპანია დააკმაყოფილებს შესასრულებელ ვალდებულებას დაპირებული საქონლის ან მომსახურების გადაცემით.

3.12 ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე

ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე აერთიანებს ნაღდ ფულს, ფულს საბანკო ანგარიშებზე და ფულს გზაში.

4 ძირითადი საშუალებები

	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება:			
2020 წლის 1 იანვარი	20,775	50,607	71,382
2020 წლის 31 დეკემბერი	20,775	50,607	71,382
2021 წლის 31 დეკემბერი	20,775	50,607	71,382
აკუმულირებული ცვეთა:			
2020 წლის 1 იანვარი	16,316	33,570	49,886
წლის ცვეთა	892	3,408	4,300
2020 წლის 31 დეკემბერი	17,208	36,978	54,186
წლის ცვეთა	713	2,726	3,439
2021 წლის 31 დეკემბერი	17,921	39,704	57,625
წმინდა საბალანსო ღირებულება:			
2020 წლის 1 იანვარი	4,459	17,037	21,496
2020 წლის 31 დეკემბერი	3,567	13,629	17,196
2021 წლის 31 დეკემბერი	2,854	10,903	13,757

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის არსებული მოძრავი ქონება წარმოადგენდა კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

5 აქტივების გამოყენების უფლება

	შენობები	სულ
თვითღირებულება		
2020 წლის 1 იანვარი	60,483	60,483
2020 წლის 31 დეკემბერი	60,483	60,483
2021 წლის 31 დეკემბერი	60,483	60,483
დაგროვილი ცვეთა		
2020 წლის 1 იანვარი	12,097	12,097
წლის ცვეთა	12,096	12,096
2020 წლის 31 დეკემბერი	24,193	24,193
წლის ცვეთა	12,097	12,097
2021 წლის 31 დეკემბერი	36,290	36,290
საბალანსო ღირებულება		
2020 წლის 1 იანვარი	48,386	48,386
2020 წლის 31 დეკემბერი	36,290	36,290
2021 წლის 31 დეკემბერი	24,193	24,193

ცვეთის ხარჯი დარიცხულია მოგება ან ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საფუძველზე, საიჯარო აქტივების ხელშეკრულების პირობების თანახმად, რომელიც განსაზღვრულია 5 წლით.

6 არამატერიალური აქტივები

	უფლებები	კომპიუტერული პროგრამები	სულ
ისტორიული ღირებულება			
2020 წლის 1 იანვარი	**9,442**	**11,673**	**21,115**
2020 წლის 31 დეკემბერი	**9,442**	**11,673**	**21,115**
2021 წლის 31 დეკემბერი	**9,442**	**11,673**	**21,115**
დაგროვილი ამორტიზაცია			
2020 წლის 1 იანვარი	**3,664**	**4,599**	**8,263**
წლის ამორტიზაცია	1,156	1,414	**2,570**
2020 წლის 31 დეკემბერი	**4,820**	**6,013**	**10,833**
წლის ამორტიზაცია	924	1,133	**2,057**
2021 წლის 31 დეკემბერი	**5,744**	**7,146**	**12,890**
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2020 წლის 1 იანვარი	**5,778**	**7,074**	**12,852**
2020 წლის 31 დეკემბერი	**4,622**	**5,660**	**10,282**
2021 წლის 31 დეკემბერი	**3,698**	**4,527**	**8,225**

ამორტიზაციის ხარჯი დარიცხული იქნა ადმინისტრაციულ ხარჯებში.

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის არამატერიალური აქტივები წარმოადგენდა კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

7 მარაგები

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
საქონელი	1,182,470	1,726,412
საქონელი გზაში	4,184,945	4,007,276
სულ მარაგები	**5,367,415**	**5,733,688**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მარაგები წარმოადგენდა კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
სავაჭრო მოთხოვნები	1,343,551	1,740,370
გაუფასურების რეზერვი	(41,983)	(416,800)
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	**1,301,568**	**1,323,570**
წინასწარ გადახდილი გადასახადები	17,059	21,800
ავანსები და სხვა წინასწარი გადახდები	69,232	127,173
სხვა მიმდინარე აქტივები	-	385,878
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1,387,859**	**1,858,421**

გაუფასურების რეზერვი	**2021**	**2020**
1 იანვრის მდგომარეობით	**416,800**	-
ზრდა/(შემცირება) მიმდინარე პერიოდისთვის	-	416,800
გამოყენება	(374,817)	-
31 დეკემბრის მდგომარეობით	**41,983**	**416,800**

2021 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის დებიტორული დავალიანება წარმოადგენდა კომპანიის მიერ აღებული სესხების უზრუნველყოფას.

9 ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
ნაღდი ფული სალაროში	4,748	2,257
საბანკო ანგარიშები	1,507	1,500
სულ ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	**6,255**	**3,757**

10 სესხები

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
სესხები მოკავშირე მხარეებისგან ფიქსირებული პროცენტით	-	1,430,000
სესხების გრძელვადიანი ნაწილი	**-**	**1,430,000**
სესხები მოკავშირე მხარეებისგან ფიქსირებული პროცენტით	1,470,589	36,240
საბანკო სესხები ცვლადი პროცენტით	6,020,606	5,911,334
სესხების მიმდინარე ნაწილი	**7,491,195**	**5,947,574**
სულ სესხები	**7,491,195**	**7,377,574**

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სესხების მოძრაობას 2021 და 2020 წლების განმავლობაში:

	2021	2020
1 იანვარი	**7,377,574**	**6,449,938**
სესხების აღება	16,787,158	25,309,630
სესხების დაფარვა	(16,732,612)	(24,703,221)
საპროცენტო ხარჯი	1,180,072	1,007,550
პროცენტის დაფარვა	(1,141,815)	(1,007,238)
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	20,818	320,915
31 დეკემბერი	**7,491,195**	**7,377,574**

კომპანიას აქვს თიბისი ბანკის საკრედიტო ხაზი 1 წლამდე დაფარვის ვადით წლიური 12%-იანი საპროცენტო განაკვეთით,

კომპანიას სესხი აქვს დაკავშირებული მხარის - სს ნიკორასგან წლიური ფიქსირებული 14% საპროცენტო განაკვეთით, რომელიც უნდა დაიფაროს 2022 წელს. საბანკო სესხები გაიცემა ძირითადი საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებებით. საბანკო სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის ყველა მოძრავი მატერიალური და არამატერიალური ქონებით, მარაგითა და მისაღები მოთხოვნებით.

11 იჯარა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, საიჯარო ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური იჯარის პირობები	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
მიმდინარე	13,353	11,948
გრძელვადიანი	14,922	28,275
სულ	**28,275**	**40,223**

კომპანიას აქვს იჯარით აღებული შენობები. ყველა იჯარა, გარდა მოკლევადიანი ან დაბალი ღირებულების მქონე იჯარისა, აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულება. ცვალებადი საიჯარო გადასახადელები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ინდექსზე ან პროცენტზე (როგორიცაა საიჯარო გადასახდელები, დამოკიდებული კომპანიის გაყიდვების პროცენტულ მაჩვენებელზე), არ მონაწილეობენ საიჯარო ვალდებულებისა და აქტივის თავდაპირველ შეფასებაში. ინფორმაცია აქტივების გამოყენების უფლების შესახებ (იხ. შენიშვნა 5)

თითოეული იჯარის ხელშეკრულება აწესებს შეზღუდვას იმაზე რომ, თუ კომპანიას ხელშეკრულების მიხედვით არ აქვს უფლება საიჯარო აქტივი გადასცეს მესამე მხარეს, აქტივის გამოყენების უფლება შეუძლია მხოლოდ კომპანიას.

საიჯარო ვალდებულებები უზრუნველყოფილია დაკავშირებული ძირითადი საშუალებებით. სამომავლო მინიმალური საიჯარო გადასახადები 2021 წლის 31 დეკემბერს შემდეგი იყო:

მინიმალური საიჯარო გადასახდელები

	31 დეკემბერი, 2021 წ.	**31 დეკემბერი, 2020 წ.**
1 წლის განმავლობაში		
საიჯარო გადასახადები	(15,840)	(15,840)
ფინანსური გადასახადები	2,487	3,891
	(13,353)	**(11,949)**
1-დან 5 წლამდე ვადაში		
საიჯარო გადასახადები	(15,840)	(31,680)
ფინანსური გადასახადები	918	3,405
	(14,922)	**(28,275)**
5 წლის შემდეგ		
საიჯარო გადასახადები	-	-
ფინანსური გადასახადები	-	-
	-	-
წმინდა დღევანდელი ღირებულება	**(28,275)**	**(40,224)**

საიჯარო გადახდები, რომლებიც არ არის აღიარებული ვალდებულებად

კომპანიამ გადაწყვიტა, არ აღიაროს საიჯარო ვალდებულება მოკლევადიანი იჯარისთვის (12 თვიანი ან ნაკლები საიჯარო ვადის მქონე იჯარებისთვის) და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივების იჯარებისთვის. ამგვარ საიჯარო გადახდები ხარჯებად აღიარდება წრფივი მეთოდით. ამასთანავე, ზოგიერთი ცვლადი საიჯარო გადახდები, რომლებიც არ აღიარდება როგორც საიჯარო ვალდებულება, გაწევისთანავე აღიარდება ხარჯად.

ხარჯები, დაკავშირებული ისეთ საიჯარო გადახდებთან, რომლებიც არ ჩაირთვება საიჯარო ვალდებულებებში, შემდეგია:

	2021 წელი	**2020 წელი**
ცვლადი საიჯარო გადასახადები	374,469	301,688
მოკლევადიანი იჯარები	62,201	196,762
სულ	**436,670**	**498,450**

ცვლადი საიჯარო გადასახადები აღიარდება მათი გაწევის პერიოდში.

დამატებითი ინფორმაცია სარგებლობის უფლების მქონე აქტივების შესახებ აქტივების კლასების მიხედვით შემდეგია:

შენობა-ნაგებობები:

	2021	**2020**
1 იანვარი	36,290	48,386
შემოსვლა	-	-
ცვეთა	(12,097)	(12,096)
იჯარის პირობებში მოდიფიკაციის ეფექტი	-	-
31 დეკემბერი	**24,193**	**36,290**

აქტივების გამოყენების უფლებები ჩართული ანგარიშგების იმ მუხლში, რომლის შემადგენლობაშიც აისახებოდა შესაბამისი საიჯარო აქტივები იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს საკუთრებაში იქნებოდა.

12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	5,525,427	5,631,035
ვალდებულებები პერსონალის მიმართ	56,841	67,391
სულ ფინანსური ვალდებულებები	**5,582,268**	**5,698,426**
საგადასახადო და საბაჟო ვალდებულებები	-	-
მიღებული ავანსები	502	-
სხვა ვალდებულებები	1,546	269
სულ არაფინანსური ვალდებულებები	**2,048**	**269**
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**5,584,316**	**5,698,695**

13 შემოსავალი რეალიზაციიდან

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
ადგილობრივი გაყიდვები	21,305,165	24,782,477
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	**21,305,165**	**24,782,477**

14 რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.
გაყიდული პროდუქტი	20,293,518	23,599,082
ვადაგასული პროდუქტი	-	12,063
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	**20,293,518**	**23,611,145**

15 დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი

	31.12.2021	31.12.2020
თანამშრომელთა ხელფასი	39,188	55,293
იჯარა	436,670	498,450
საწვავის ხარჯი	37,651	28,721
სხვა	-	10,858
სულ დისტრიბუციისა და მარკეტინგის ხარჯი	**513,509**	**593,322**

16 ადმინისტრაციული ხარჯები

	31.12.2021	31.12.2020
თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯი	207,266	207,447
მარაგების ჩამოწერის ხარჯი	47,043	-
კონსულტაცია და პროფესიული მომსახურება	37,369	40,025
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	17,593	18,966
საბანკო ხარჯები	12,192	11,300
საგადასახადო ხარჯი	7,876	2,344
საოფისე ხარჯები	3,486	3,552
სხვა	28,490	33,065
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	**361,315**	**316,699**

17 ფინანსური ხარჯი (წმინდა)

	31.12.2021	31.12.2020
საპროცენტო ხარჯები საიჯარო გარიგებებზე	3,891	5,148
საპროცენტო ხარჯები სესხებზე ფინანსური ინსტიტუტებიდან	1,012,090	823,848
საპროცენტო ხარჯები სესხებზე დაკავშირებული მხარეებისგან	186,703	178,554
სულ ფინანსური ხარჯი (წმინდა)	**1,202,684**	**1,007,550**

18 სხვა მოგება/(ზარალი)

	31.12.2021	31.12.2020
უიმედო ვალების ხარჯი	37,356	416,800
სხვა მოთხოვნების გაუფასურება	8,046	-
სხვა	(21,849)	(21,021)
სულ სხვა მოგება/(ზარალი)	**23,553**	**395,779**

19 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები და მსჯელობები

დაშვებები და მსჯელობები ეფუძნება ისტორიულ გამოცდილებას, ამასთან გაითვალისწინება სხვა ფაქტორებიც, როგორებიც არის მომავალი მოვლენების განვითერბასთან დაკავშირებული მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციაში გონივრულად მიიჩნევა.

19.1 მნიშვნელოვანი ბუღალტრული შეფასებები

კომპანია შეფასებებს აკეთებს სამომავლო ფაქტორების გათვალისწინებით. მიღებული სააღრიცხვო შეფასებები, შესაძლოა განსხვავებული იყოს რეალურ შედეგისაგან. შეფასებები და დაშვებები, რომლებიც შეიცავს მნიშვნელოვან რისკს სამომავლოდ აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღერებულების კორექტირების საჭიროებისა, განხილულია ქვემოთ:

ძირითადი საშუალებების სასიცოცხლო ვადები

ხელმძღვანელობამ შეაფასა ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის ხანგრძლივობა. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს შეფასებები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ამ აქტივების ეკონომიკური მომსახურების ვადის ხანგრძლივობისგან. თუ რეალური სასარგებლო მომსახურების ვადა განსხვავდება ამ შეფასებებისგან, მაშინ ფინანსური ანგარიშგებები არსებითად განსხვავებული იქნება.

უიმედო ვალები

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების ამოღების შესაძლებლობას თავის გამოცდილებისა და მომავალ მოლოდინებზე დაყრდნობით. რეალური ამოღების მონაცემები მოთხოვნებისთვის შესაძლოა განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისგან.

20 ფინანსური ინსტრუმენტები

20.1 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და საფუძველი, რომლის მიხედვითაც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, თითოეული კლასის ფინანსური აქტივის, ვალდებულების და კაპიტალის ინსტრუმენტის შესაბამისად, წარმოდგენილია შენიშვნა 3-ში.

20.2 ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები საბალანსო ღირებულებით კატეგორიების მიხედვით:

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური აქტივები		
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	1,301,568	1,323,570
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,255	3,757
სულ ფინანსური აქტივები	**1,307,823**	**1,327,327**

ფინანსური ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,582,268	5,698,426
საიჯარო ვალდებულებები	28,275	40,223
სესხები	7,491,195	7,377,574
სულ ფინანსური ვალდებულებები	**13,101,738**	**13,116,223**

21 ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ძირითადი რისკების ტიპებია: საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი.

კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისათვის და არც ოფციონებს გასცემს. კომპანის ყველაზე მნიშვნელოვანი ფინანსური რისკები აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანია არ არის დაცული საბაზრო რისკისაგან ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების გამო და კონკრეტულად სავალუტო, საპროცენტო განაკვეთისა და სხვა ფასთან დაკავშირებული რისკისაგან, რომელიც გამოწვეულია, როგორც საოპერაციო აგრეთვე, საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი.

კომპანიის ტრანზაქციებისუმეტესობა განხორციელებულიაეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების ძირითადად წარმოიშობა კომპანიის სავაჭრო ვალდებულებებისგან, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში. ვალუტაში დენომინირებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც იწვევს კომპანიის სავალუტო რისკს განხილულია ქვემოთ. ნაჩვენები თანხები, არის ის თანხები რომლებიც წარედგინება ხელმძღვანელობას და გადაყვანილია ქართულ ლარში წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით:

	31.12.2021		31.12.2020	
	აშშ დოლარი	**ევრო**	**აშშ დოლარი**	**ევრო**
ფინანსური აქტივები				
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	-	-	-	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	-	6	-	-
სულ	**-**	**6**	**-**	**-**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,810,361	456,259	5,176,006	302,856
სესხები	-	-	130,787	284
სულ	**4,810,361**	**456,259**	**5,306,793**	**303,140**
წმინდა სავალუტო პოზიცია	**(4,810,361)**	**(456,253)**	**(5,306,793)**	**(303,140)**

ცხრილი ასახავს დოლარის მიმართ ლარის 20%-იანი (2020: 20%) კლება/მატების გავლენას კომპანიაზე. აღნიშნული 20% (2020: 20%) არის მმართველობის მიერ შეფასებული სავარაუდო ცვლილება ლარის, დოლარის და ევროს გაცვლით კურსებში. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ დომინანტ ვალუტას და ახდენს წლის ბოლოს მათ კორექტირებას 20%-იანი (2020: 20%) განაკვეთით.

ქართული ლარი რომ გამყარებულიყო დოლარსა და ევროსთან მიმართებაში 20%-ით (2019: 20%), მაშინ ამას ექნებოდა შემდეგნაირი გავლენა:

	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	**აშშ დოლარი/ ლარი - 20%**	**ევრო/ლარი + 20%**	**ევრო/ლარი + 20%**
მოგება/(ზარალი) 2021	(962,072)	962,072	(91,251)	91,251
მოგება/(ზარალი) 2020	(1,061,359)	1,061,359	(60,628)	60,628

სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის სიდიდე, წლის განმავლობაში დამოკიდებულია უცხოურ ვალუტაში განხორციელებულ ოპერაციებთან. მიუხედავად ამისა, მიჩნეულია რომ ზემოთ აღნიშნული ანალიზი წარმოადგენს კომპანიის სავალუტო რისკთან მიმართებით კავშირს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც მცურავი, ასევე ფიქსირებული განაკვეთით. კომპანიის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების თანაფარდობით.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც ის მიიღებს ფინანსურ ზარალს. ეს რისკი არის ფინანსური ინსტრუმენტების გამო, მაგალითად მოთხოვნების გამო. მაქსიმალურ საკრედიტო რისკს წარმოადგენს შემდეგი ფინანსური ინსტრუმენტები:

	31.12.2021	31.12.2020
ფინანსური აქტივები საბალანსო ღირებულებით		
დებიტორული დავალიანება	1,301,568	1,323,570
საბანკო ნაშთები	1,507	1,500
სულ ფინანსური აქტივები	**1,303,075**	**1,325,070**

რეპორტის გამოშვების თარიღისთვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებთან მიმართებაში უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშული ბაკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე ბანკებს.

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადადამდგარი ვალდებულებები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასეხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივატული ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს. ცხრილი შედგენილ იქნა არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფინანსური ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,525,427	-	-	-	**5,525,427**
ფინანსური იჯარა	7,920	7,920	15,840		**31,680**
სესხები	6,061,195	1,430,000	-	-	**7,491,195**
სულ 31.12.2021	**11,594,542**	**1,437,920**	**15,840**	**-**	**13,048,302**

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,631,035	-	-	-	**5,631,035**
ფინანსური იჯარა	7,920	7,920	31,680		**47,520**
სესხები	5,715,590	89,863	1,572,121	-	**7,377,574**
სულ 31.12.2020	**11,354,545**	**97,783**	**1,603,801**	**-**	**13,056,129**

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

22 კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს საქმიანობის გაგრძელება ფუნქციონირებადობის პრინციპით და აქციონერები უზრუნველყოს ადექვატური უკუგებით.

კომპანიის კაპიტალის სტრუქტურა შედგება გამოშვებული კაპიტალისგან და აკუმულირებულ მოგებას, და მოზიდული სახსრებისაგან, რომელიც მოიცავს სესხებს, რომლებსაც იხილავთ შენიშვნა 10-ში.

კომპანიის მენეჯმენტი აფასებს კომპანიის კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს ზედმეტი დამოკიდებულება ნასესხებ სახსრებზე. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის კორექტირებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს ძირითად აქტივებს. კაპიტალის სტრუქტურის კორექტირების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს წლის ბოლოსთვის შეჯამებულია შემდეგნაირად:

ლარი	31-დეკ-2021	31-დეკ-2020
მთლიანი კაპიტალი	(6,296,082)	(5,492,546)
გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(6,255)	(3,757)
კაპიტალი	**(6,302,337)**	**(5,496,303)**
მთლიანი კაპიტალი	(6,296,082)	(5,492,546)
სესხები	7,491,195	7,377,574
საიჯარო ვალდებულებები	28,275	797,662
სრული ფინანსირება	**1,223,388**	**2,682,690**
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	**(5.15)**	**(2.04)**

23 გაუთვალისწინებელი გარემოებები

23.1 ბიზნეს გარემო

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებეს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნეს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტალიზებული ეკონომიკურისტრუქტურას,რეგიონალურ არასტაბილურობასა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

COVID 19-ის პანდემიის გამო, იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, გამოიწვია ფულადი გზავნილების შემცირება საზღვარგარეთიდან. მომავალში სამთო პროდუქტებზე საერთაშორისო ფასების შემცირებამ, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების შესაძლო მოზიდვასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, ქართული ვალუტის მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ ამერიკულ დოლარზე და საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის საპასუხოდ მიღებულმა გამკაცრებულმა ზომებმა, შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესება. მიუხედავად იმისა, რომ ეს განუსაზღვრელობა მოიცავს მრავალ დაშვებებს და ვარაუდებს, ხელმძღვანელობას არ შეუძლია კომანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე გავლენის შეფასება.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

23.2 დაზღვევა

საქართველოს სადაზღვევო სექტორი განვითარების სტადიაზეა და დაზღვევის მრავალი ფორმა, რომელიც მიღებულია მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, ამჟამად არ არის ხელმისაწვდომი. კომპანია სრულად ვერ აზღვევს მის ოპერაციებთან დაკავშირებულ ობიექტებს, საქმიანობის შეფერხებას ან მესამე მხარის მიმართ ვალდებულებებს, ქონების ზიანთან თუ გარემოს დაცვასთან მიმართებით. სანამ კომპანია მიიღებს ადეკვატურ დაზღვევას, არის რისკი იმისა რომ, აქტივების დაზიანებით ან გარემოს დაზარალებით მატერიალურ ზარალს მიაყენებს კომპანიის ფინანსურ და საოპერაციო მდგომარეობას.

23.3 გადასახადები

საქართველოში საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი საკანონმდებლო ცვალებადობით, რომლებიც ხშირად ხდება ინერპრეტაციების საგანი. ხშირად, განსხვავებული ინტერპრეტაციები არსებობს სხვადასხვა საგადასახადო ორგანობსა და იურისდიქციებში. გადასახადები

საგადასახადო ორგანოების მხრიდან ექვემდებარება განხილვას და შემოწმებას, რომელიც წარმოშობს კანონით გათვალისწინებულ მძიმე ჯარიმებსა და საურავებს.

ამ ფაქტორებმა შესაძლოა წარმოშვას საგადასახადო რისკი საქართველოში, არსებითად უფრო მეტად ვიდრე სხვა განვითარებულ ქვეყნებში. მენეჯმენტს სჯერა, რომ საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციის საფუძველზე საგადასახადო ვალდებულებები ადეკვატურად არის განსაზღვრული. თუმცა, შესაბამის ორგანოებს შესაძლოა ჰქონდეთ განსხვავებული ინტერპრეტაციები და ეფექტი შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

23.4 გარემოსდაცვითი საქმიანობები

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს მთავრობის მოთხოვნებს გარემოსდაცვის საკითხებთან დაკავშირებით და ამასთანავე სჯერა, რომ კომპანიას არ გააჩნია მიმდინარე მატერიალური გარემოსდაცვითი ვალდებულებები. ამასთან, საქართველოში გარემოს დაცვის კანონმდებლობა განვითარების პროცესშია და კანონმდებლობის პოტენციურმა ცვლილებამ ან ინტერპრეტირებამ, შესაძლოა მომავალში წარმოშვას გარკვეული ტიპის ვალდებულებები.

24 ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

ცვლილებები კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილ ვალდებულებებში შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	საიჯარო ვალდებულებები	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	**1,430,000**	**5,019,938**	**50,916**	**6,500,854**
ფულადი ნაკადების მოძრაობა				
სესხის აღება	-	25,309,630	-	**25,309,630**
სესხის დაფარვა	-	(24,703,221)	(10,693)	**(24,713,913)**
გადახდილი პროცენტი	-	(1,002,090)	(5,148)	**(1,007,238)**
არაფულადი ნაკადების მოძრაობა				
დარიცხული პროცენტი	-	1,001,697	5,148	**1,006,845**
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	-	321,620	-	**321,621**
რეკლასიფიკაცია	-	-	-	**-**
2020 წლის 31 დეკემბერი	**1,430,000**	**5,947,574**	**40,223**	**7,417,799**
ფულადი ნაკადების მოძრაობა				
სესხის აღება	-	16,787,158	-	**16,787,158**
სესხის დაფარვა	-	(16,732,612)	(15,840)	**(16,748,452)**
გადახდილი პროცენტი	-	(1,141,815)	-	**(1,141,815)**
არაფულადი ნაკადების მოძრაობა				**-**
დარიცხული პროცენტი	-	1,180,072	3,891	**1,183,963**
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	-	20,818	-	**20,818**
რეკლასიფიკაცია	(1,430,000)	1,430,000	-	**-**
2021 წლის 31 დეკემბერი	**-**	**7,491,195**	**28,275**	**7,519,471**

25 დაკავშირებული მხარეები

კომპანიის დაკავშირებულ მხარეებს წარმოადგენენ საერთო კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოები და მმართველი ხელმძღვანელობა.

25.1 მაკონტროლებელი ურთიერთობები

სააქციო საზოგადოება ნიკორა, საქართველოში გაერთიანებული და რეგისტრირებული კომპანია, კომპანიის 100% მფლობელია.

25.2 დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები

საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ჰქონდა შემდეგი ოპერაციები და ნაშთები:

	31.12.2021	31.12.2020
ოპერაციები:		
საქონლის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი	18,581,504	16,924,491
სესხის მიღება	-	-
საქონლისა და ნედლეულის შეძენა	(2,741)	-
მომსახურების შეძენა	32,348	(40,374)
სესხების ძირისა და პროცენტის დაფარვა	(182,354)	(175,655)
საპროცენტო ხარჯის დარიცხვა	186,703	178,554
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(15,840)	(15,840)
ნაშთები:		
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,038,309	1,289,195
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,392	17,541
სესხები (ძირი)	1,430,000	1,430,000
სესხის პროცენტი	(40,589)	36,240
ხელფასები და ბონუსები	(75,000)	(75,000)

26 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო წლის შემდეგ მნიშვნელოვან მოვლენას, რაც მოითხოვდა კორექტირებას ან განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში, ადგილი არ ჰქონია.